სილაურელთა პრობლემები და პრიორიტეტები

ალიონი. სოფელ სილაურის მოსახლეობის წინაშე, გაწეული საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ამავე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი **გოჩა კილაძე** წარსდგა, რომელიც ამავდროულად თემების საკრებულოში ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარეა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი კვერღელიძემ, რომელიც შეხვედრას უძღვებოდა, ადგილობრივებს თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ჩართულობისკენ მოუწოდა და აქცენტი საჯაროობაზე, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე გააკეთა.

–„ჩვენ დავნერგეთ ყველა ის შესაბამისი მექანიზმი, რომლიც თითოეულ თქვენგანს საშუალებას მისცემს არა მხოლოდ დაესწროს, არამედ თავად მიიღოს მონაწილეობა საკრებულოს მუშაობაში და განახორციელოს საზოგადოებრივი კონტროლი გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე. აღნიშნული დაკავშირებულია, როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, ასევე ანგარიშების საჯაროობაზე. საკრებულოში კი ახალი ნოვაციების დანერგვით ხელიშეუწყვეთ ინფორმაციის, გადაწყვეტილებების შემუშავების და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მაქსიმალურ საჯაროობას. ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის დაცვითა, ფუნქციათა სწორი გადანაწილებით ვღებულობთ მუნიციპალიტეტის ორგანოების ეფექტურ საქმიანობას“- განაცხადა დიმიტრი კვერღელიძემ.

–„რეგლამენტი მე და ყველა ჩემს კოლეგას გვავალდებულებს წარვსდგეთ ამომრჩევლის წინაშე ანგარიშით. ამ ვალდებულებას ვეკიდები დიდი პასუხისმგელობით, ამიტომაც დღეს აქ ვისაუბრეთ იმაზე თუ რა გაკეთდა 2015 წელს და რა დაიგეგმა 2016 წლისათვის. მზად ვარ კიდევ ერთხელ მოვისმინო ყველა ის შენიშვნა და შეკითხვა, რაც ჩემს თანასოფლელებს აწუხებს“ – აღნიშნა გოჩა კილაძემ

შეხვედრზე, რომლიც ძირითადად დისკუსიის ფორმატში მიმდინარეოდა, ადგილობრივების მხრიდან დასმულ შეკითხვებს, სოფლის დეპუტატთან ერთად მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ უპასუხა. მოსახლეობამ ძირითად პრობლემად ინდივიდუალური ელექტრო მრიცხველების დაყენება, გზის რეაბილიტაცია, სოფლის გაზიფიცირება დაასახელა.

სოფელ სილაურისთვის ერთერთ პრობლემას მდინარე სუფსა წარმოადგენს.

–მდინარე სუფსამ სოფლის სავარგულების 20 პროცენტი უკვე წაიღო, გარდა ამისა, 7 მდინარე ჩამოდის მამათის მთიდან და სოფლის ცალკეულ უბნებს პრობლემებს უქმნის–აღნიშნა სილაურელმა კაკო

▶▶▶ გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №8 (10149), 22 თებერვალი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

საბავშვო ბაღების დაფინანსება გაიზარდა

მარი კოძოევი

ქალაქ ოზურგეთის ბაღებს დაფინანსება 70000 ლარით გაეზარდა. ამის გათვალისწინებით ქალაქის ბაღების ბიუჯეტი 903 000 ლარის ნაცვლად, 973 000 ლარი იქნება. აღნიშნული ცვლილება ბაღების თანამშრომლების ანაზღაურებაზე აისახება. ხელფასი გაეზრდებათ აღმზრდელებს, მეორე ცვლის აღმზრდელებს, აღმზრდელის თანაშემწეებს, მნეებს, მნის თანაშემწეებს, მზარეულებს, მზარეულის თანაშემწეებს, დარაჯებს და მენეჯერებს. ამის შესახებ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა **ეკატერინე ნინიძემ** განგვიცხადა.

დაფინანსება გაეზარდა სოფლის ბაღებსაც. მათი ბიუჯეტი 1 789 300 ლარი იყო 22 იანვრიდან კი დაფინანსება 35 000 ლარით გაიზარდა. აღნიშნული თანხით მოხდება ყველა სახის ინვენტარის შეძენა ჭანიეთის და სილაურის ბაღებისთვის. კერძოდ საუბარია მაცივარზე, გაზქურაზე, მტვერსასრუტზე, ხორცსაკეპზე, წყლის გამათბობელზე, სამზარეულოს გამწოვზე, ხალიჩებზე, საბავშვო მაგიდებზე, კარადებზე, სკამებზე, საწოლებზე, საწოლის კომპლექტებზე (ლეიბი, ბალიში, საბანი, პლედი)

ოზურგეთის მინიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა ავთანდილ მექვაბიშვილმა გვითხრა, რომ ტენდერებით ფარდა-ჟალუზებზე გათვალისწინებულია 5 200 ლარი. ავეჯზე 17 060 ლარი. ტექნიკაზე 6 100 ლარო. ქსოვილის ნივთებზე 9 600 ლარი. სამზარეულოს ჭურჭელზე 1 710 ლარი.

მექვაბიშვილის ინფორმაციით, ყველა ბაღისთვის შეძენილია 24 300 ლარის ავეჯი. ცნობისთვის ოზურგეთის სოფლებში სულ 34 ბაღია, 1597 აღსაზრდელი. 54 სააღმზრდელო ჯგუფი და 480 თანამშრომელი სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის თანამშრომლების ჩათვლით

ანასეულში ჩაის სანერგე ნაკვეთის დამუშავებას შეუდგნენ

პარალელურად სარეაბილიტაციო პლანტაციებიდან ნიმუშების ასაღებად ემზადებიან

ალიონი. ანასეულში ჩაის სანერგე და სადემონსტრაციო ნაკვეთების დამუშავებას შეუდგნენ.

ამის შესახებ „ალიონს“ ადამ ბერიძის სახელობის დიაგნოსტიკური ცენტრის „ანასეულის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **რუსუდან ტაკიძემ** გასული კვირის პარასკევს, 19 თებერვალს უთხრა:

„ნაკვეთი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ შეირჩა მე-5 საჯარო სკოლის უკან მდებარე ტაფობზე, ყოფილი ავტოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოყოფილი და უკვე მოხნულია 5 ჰექტარამდე ფართობი. აქედან 2 ჰექტარზე სანერგე გაიმართება, დანარჩენზე კი სადემონსტრაციო ნაკვეთი მოეწყობა. სამუშაოებს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი **ზაურ გაბრიჩიძე** ხელმძღვანელობს. დაგეგმილია როგორც ადგილობრივი პოპულაციების, ისე ჩინური ჯიშების შემოტანა და მათგან სათესლე და სარგავი მას-ალის მიღება. აქვე მოეწყობა ამ ჯიშ-პოპულაციების სადემონსტრაციო ნაკვეთი“.

საპასუხისმგებლო მისია დაეკისრა აღნიშნულ ცენტრს ჩაის სარეაბილიტაციო სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად. ტაკიძის თქმით, ცენტრის ყველა სპეციალისტი გადაერთვება პროგრამით დაკისრებულ სამუშაოებზე:

„გამოყოფილია სპეციალისტები არა მარტო ჩვენგან, არამედ სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრიდან, რომლებიც დაადგენენ, ექვემდებარება თუ არა რეაბილიტაცის ბენეფიციარების პლანტაციები. უკვე ვიწყებთ როგორც ნიმუშების აღებას, ისე ანალიზების გაკეთებას, გავცემთ ცნობას, რომ შესაძლებელია რეაბილიტაცია, ამავე დროს, ვიძლევით შესაბამის რეკომენდაციებს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სარეაბილიტაციო სამუშაოები ეტაპობრივად უნდა გახორციელდეს. პირველ ეტაპზე 1500 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია რეაბილიტირდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეისათვის საქართველოში სულ ჩაის პლანტაციებს 20 000 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს, მხოლოდ 2500 ჰექტარია ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში, 7500 ჰექტარამდე ექვემდებარება რეაბილიტაციას, დანარჩენი კი უნდა ამოიძირკვოს და გაშენდეს ახალი ჩაის პლანტაცია, თუმცა ეს დამოკიდებულია ბენეფიციარზე, რომელმაც თავის კუთვნილ ნაკვეთზე შეიძლება სხვა კულტურას მიანიჭოს უპირატესობა“.

საკრებულოს თავმჯდომარის პასუხი დეპუტატს

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე დეპუტატ თამარ ნადირიძის განცხადებას გამოეხმაურა. საუბარია ნადირიძის მიერ გამოქვეყნებულ წერილზე სადაც ნადირიძე წერს „ ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარის **გელა კობალაძის** ინიციატივით შევხვდი შპს „პირამიდას“ წარმომადგენელს გიორგი შალამბერიძეს. ამ საკითხან დაკავშირებით დამატებით მოგახსენებთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში შესვლისას წარმომიდგინეს პიროვნება, რომელმაც თავი გამაცნო გიორგი შალამბერიძედ, რაშიც თავიდანვე შევიტანე ეჭვი, ვინაიდან კარგად ვიცნობდი ქალაქ ოზურგეთის მერის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტო და ვიდეო მასალას, სადაც ეს პირი მითითებული იყო როგორც შპს „პირამიდას“ დამფუძნებელი სერგი ცინცაძე.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გადავამოწმე ამ პიროვნების ვინაობა და მართლაც დავრწმუნდი, რომ ეს პირი ნამდვილად გახლდათ სერგი ცინცაძე, რომელიც სინამდვილეში არც შპს „პირამიდას“ წარმომადგენელია და არც მისი დამფუძნებელი (რაც ირკვევა ამავე ფირმის სადამფუძნებლო დოკუმენტაციიდან) ამასთანავე ძალიან საეჭვო გახდათ ის ფაქტი, რომ გელა კობალაძემ არ იცოდა მისი ვინაობა ან სახელი და გვარი.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ შეხვედრას ჰქონდა საქმის გარჩევის ხასიათი და ამ პირის პრეტენზიები სრულიად ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, ხან პრეტენზია ჰქონდა გუბერნატორისათვის მიქირავებულ ტრაქტორზე, ხანაც პირამიდას მიერ დაგებულ გზასთან დაკავშირებით ოზურგეთის თემების გამგეობასთან და პასუხს მთხოვდა იმაზე თუ რატომ არ დავინტერესდი კონჭკათის გზის დაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და რატომ ვიყავი დაინტერესებული მხოლოდ ქალაქში მიმდინარე მშენებლობებით, აქვე მითხრა, რომ მას და მის ძმას სერიოზული პრობლემები ჰქონდა ამ საქმესთან დაკავშირებით. მოკლედ რომ ვთქვათ ბატონი კობალაძის მიწვევით აღმოვჩნდი ქუჩურ გარჩევაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი თვალყურს ძალიან მშვიდად ადევნებდა."

„თამარ ნადირიძე ამბობს რომ ჩემს კაბინეტში მოხდა საქმის ქუჩური გარჩევა შპს „პირამიდას" წარმომადგენელსა და მას შორის. გუშინ, დილით ჩემთან მოვიდა „პირამიდას" წარმომადგენელი, რომელსაც ქონდა პრეტენზია. ამბობდა რომ მათ წინააღმდეგ საკრებულო და მთლიანად მერია აწარმოებს კამპანიას. საქმე ეხებოდა თამარ ნადირიძის წერილს სადაც ნათქვამია რომ კომპანია სამუშაოებს უხარისხოდ ასრულებს. მე დავურეკე თამარს და ვთხოვე მოსულიყო. შევიკრიბეთ ჩემს ოთახში. „პირამიდას" წარმომადგენელმა ჩვენს კითხვებსაც უპასუხა სამუშაოებთან დაკავშირებით.. არ ვიცი რატომ ჩათვალა ეს შეხვედრა საქმის გარჩევად ქალბატონმა თამარმა. მინდა აგვიხსნას რა გარჩევაზეა საუბარი. უბრალოდ პირი იყო დაინტერესებული რატომ უფუჭებდნენ ავტორიტეტს" განაცხადა კობალაძემ პრესკონფერენციაზე.

კობალაძეს ეჭვი აქვს რომ დეპუტატი მიზანმიმართულად ეწევა კამპანიას აღნიშნული შპს-ეს წინააღმდეგ. „მგონია რომ თამარის უკან ვიღაც დგას. ვისაც ან შეცდომაში შეყავს ან უბრალოდ მიზანმიმართული ქმედებაა მისი მხრიდან და ამ ყველაფერში ჩამრთო მეც"–განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.

საზოგადოებრივი საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

ალიონი. გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში, გუბერნატორის გია სალუქვაძის ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივი საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე მიმდინარე წელს რეგიონში გზების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, მრავალბინიანი სახლების გადახურვის, წყლის სისტემის მოწყობის, დაბა ურეკში ბულვარის ზოლის მშენებლობისა და გარე ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. ასევე, ქალაქ ოზურგეთში შუქნიშნების მოწყობისა და ქვეითად მოსიარულეთათვის ბორდიულების მოწყობის სამუშაოების საკითხებზე იმსჯელეს.

გუბერნატორმა საზოგადოებრივი საბჭოს სხდომაზე ასევე შეაჯამა რეგიონში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები და საბჭოს წევრებს წელს დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტების მიმდინარეობა გააცნო.

გია სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ის მზად არის საბჭოს წევრებთან ერთად კოორდინირებული მუშაობისთვის, რათა გურიის რეგიონში ინფრასტრუქტურული, სოციალური და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები დროულად გადაიჭრას.

გუბერნატორის დავალებით შეიქმნა ოთხი სხვადასხვა მიმართულების სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაყოფილია საკონსულტაციო ჯგუფებად, სადაც საბჭოს თითოეული წევრის შესაძლებლობებისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება მოხდება.

საზოგადოებრივი საბჭო არის რწმუნებულ-გუბერნატორთან, ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნილი სათათბირო ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია არასამთავრობო, მედიისა და საზოგადოებისთვის ცნობილი წარმომადგენლებით, რომლებიც მონდომებულნი არიან მშობლიური კუთხისთვის, სხვადასხვა მიმართულებით გუბერნატორთან ერთად სასიკეთო საქმეები აკეთონ. საბჭოს წევრების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია პრობლემური საკითხების მოძიება, დამუშავება და რეკომენდაციების სახით სათათბირო ორგანოსთვის მიწოდება გახლავთ, რომელთა გათვალისწინებაც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. აღნიშნული საბჭო სამ თვეში ერთხელ შეიკრიბება.

აგრობარათების დარიგება დაიწყო

მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი" -ის ფარგლებში ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო ხვნის ბარათებს მიიღებს. ბარათების მოკითხვა შესაძლებელია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მესამე სართულზე. საკონტაქტო პირი: ავთო ჩხაიძე. ტელ: **595 42 36 68**

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარები არიან:

• ფერმერები, რომელთა საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი არ აღემატება 1,25 ჰა-ს.

• ფერმერები, რომლებსაც არ გააჩნიათ ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ნაკვეთი და აქვთ მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ნაკვეთ(ებ)ი, რომელთა ფართობების ჯამი არ აღემატება 1,25 ჰა-ს.

• ამავე დროს, ფერმერთა საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს.

• პროექტის ფარგლებში მოსარგებლეები მიიღებენ სუბსიდიას სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათის ან "აგრო ბარათზე" დარიცხული ქულების სახით.

კლუბ „მერცხალი“-ს ფეხბურთელებს ახალი ფორმები გადაეცათ

17 თებერვალს, გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, გელა კობალაძემ კლუბ „ მერცხალი“-ს ფეხბურთელებს ახალი ფორმები გადასცეს.

ამჟამად კლუბი ერთკვირიან ვარჯიშებს ურეკის საწვრთნელ ბაზაზე აწარმოებს, რომელიც 20 თებერვლამდე გაგრძელდება.

გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე:**

„დღეს ოზურგეთის „ მერცხალი“-ს ახალი ფორმები გადავეცით. სამწუხაროდ, გუნდი ბოლო ადგილზეა, თუმცა კლუბის ახალი მენეჯმენტი და შემადგენლობა გვაძლევს იმის წინაპირობას, რომ გუნდი შედეგს გაუუმჯობესებს. ქალაქის მერია და გუბერნია მაქსიმალურად ხელს უწყობს გუნდს. მთავარია, ბიჭებმა იმუშაონ, შეინარჩუნონ ადგილი ლიგაში და შემდგომი წარმატებებისთვის მოემზადონ."

ქალაქის მერი **ბეგლარ სიორიძე:** „მოგეხსენებათ, რომ გუნდის დღევანდელი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, მაგრამ სტადიონის ხელმძღვანელობა ,რომელსაც მხარში უდგას ქალაქის მერია, ყველაფერს აკეთებს პირველ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის, მომავალში კი უკეთეს შედეგზე ვიფიქრებთ. ჩვენი მხრიდან კლუბს მაქსიმალური მხარდაჭერა ეჭნება“.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ეიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჰშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სილაურელთა პრობლემები და პრიორიტეტები

მექვაბიშვილმა.

—სოფელს მცირე რაოდენობის საძოვარი გააჩნია. ამ დროს ჩინური კომპანია კიდევ ახალ კარიერს აკეთებს. მალე მდინარე თევზი აღარ იქნება. ჩვენ რომ ერთი ტომარა ქვიშა ან ღორღი ავიღოთ მდინარის ნაპირიდან გარემოს დამცველები 500 ლარიან ლარით დაგვაჯარიმებენ. მამათურას ღელემ უკვე წამართვა საკარმიდამო ნაკვეთის უმეტესი ნაწილი. —თემა გააგრძელა ავთანდილ ლეჟავამ.

— ჩვენ მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ და სოფელ ნაგომარში კარიერის გახსნაზე უარი ვთქვით. ამ კუთხით ვმუშაობთ. მდინარე სუფსაზე გაბიონების მოწყობას აზრი არ აქვს, რადგან სუფსის ნაპირები სხვა აგებულებისაა. აქ გარემოს დაცვის სამინისტრომ სხვა მიდგომები უნდა შეიმუშაოს . 2016 წელს სოფელ შრომაში, ნაგომარში, სილაურში გამრიცხველიანების პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება. სოფლის საბავშვო ბაღი აღიჭურვება უახლესი ტექნიკით და მომავალი წლისთვის სავარუდოდ გზის სამშენებლო სამუშაოებსაც დავიწყებთ“— თქვა მერაბ ჭანუყვაძემ.

ცალკე მსჯელობის თემა გახდა საყანე ფართობების შემოღობვის საკითხი, რომელსაც ზაზა მექვაბიშვილი აყენებდა.

—კარგი იქნება თუ საყანე ფართობებს შემოვღობავთ—გამოთქვა აზრი ზაზა მექვაბიშვილმა.

— სოფლის 110 ჰექტარი სავარგულიდან 45 ჰექტარი იხვნება. ყოველწლიურად სოფლის პროგრამიდან 5 000 ლარი იხარჯება საყანე ფართობების შემოღობვაზე. სად წავიდა ეს ღობეები?— უარყოფითად შეაფასა მექვბიშვილის წინადადება გამგებლის წარმომადგენელმა სოფელ სილაურში ზურაბ ტუღუშმა.

—ახალგაზრდების აზრიც უნდა გაითვალისწინოთ. სტადიონის და სოფლის ცენტრში უკებელო ინტერნეტი (**WI-FI**) გვინდა გაკეთდეს.— თქვა თემურ მეგრელიშვილმა.

— ჩვენ მივესალმებით ახალგაზრდების ასეთ წინანდადებებს. უკაბელო ინტერნეტი მუნიციპალიტეტის ყველ სოფლის ცენტრში უნდა იყოს. იმედია, სოფლის პროგრამის განხილვაზე უფროსი ასაკის ადამიანები ახალგაზრდების ამ წინადადებას დაუჭერს მხარს —თქვა მერაბ ჭანუყვაძემ.

შეხვერდას ასევე ესწრებოდნენ პროექტ ,,სტუდენტები თვითმმართველობისათვის'' მონაწილეები, გურიის მხარის გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძე,და ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი მურთაზ ფოცხიშვილი.

შეხვედრის შემდეგ მერაბ ჭანუყვაძესთან ერთად სოფელ სილაურის ხანძრისგან აღდგენილი ადმინისტრაციული შენობა დავათვალიერეთ, სადაც კეთილმოწყობილი საბავშო ბაღია განთავსებული.

სოფ. ოზურგეთიდან გურიანთის მიმართულებით ახალი გზა დაიგება

ალიონი. გასულ ოთხშაბათს სოფელ ოზურგეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ირაკლი ჩხაიძემ** ამომრჩევლებს ბოლო ერთ წელიწადში სადეპუტატო მუშაობის ანგარიში წარუდგინა. ანგარიშის წარდგენის პრეზენტაციას ოზურგეთის მუნიციპალიტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია უძღვებოდა.

დეპუტატმა სოფელ ოზურგეთში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების დეტალებზე ისაუბრა და ყურადღება ახალი პროექტების მნიშვნელობაზე გაამახვილა. დაიგება სოფელ ოზურგეთსა და გურიანთას დამაკავშირებელი ევროსტანდარტის გზა, რომელზედაც მილონ ლარზე მეტი დაიხარჯება. ასევე აშენდება ევროსტანდარტის ბაღი, რომლის ღირებულება ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს. აღნიშნული პროექტები მიმდინარე წლის შემოდგომაზე დამთავრდება.

— ჩვენი სოფლის მკვიდრის, საკრებულოს თვამჯდომარის მოადგილის ინიციატივით მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება 3000 ლარით დაჯილდოებულიყო ის ბავშვი, რომელიც ეროვნული გამოცდებით 100 პროცენტიან გრანტს მიიღებდა, ხოლო აღმზრდელი სკოლა 1000 ლარს. სიმბოლირია, რომ იმ ორი ახალგაზრდამაც, ვინც 100 პროცენტიანი გრანტი მიიღო ოზურგეთის მუნ იციპალიტეტიდან, ერთ-ერთი ზაზა დამენიას სახელობის სოფელ ოზურგეთის სკოლის მუნ იციპალიტეტიდან, ერთ-ერთი ზაზა დამენიას სახელობის სოფელ ოზურგეთის სკოლის აღზრდილი სალომე მიქატაძე გახდა -აღნიშნა ირაკლი ჩხაიძემ.

დიმიტრი კვერღელიძე:—მუნიციპალიტეტის საკრებულომ განათლების სფეროს ხელშეწყობა ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა. სოფელ ოზურგეთში აშენდება თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი. მუნიციპალიტეტმა 107 ადამიანს გაუწია სოციალური დახმარება.

ჩემი რჩევა იქნება სოფლის ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვისას შევარიოთ 1-2 ისეთი პროექტი, რომელიც მთელი სოფლისთვის იქნება მისაღები.

შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. დამთავრდა ის დრო, როდესაც პოლიციის მანქანები იდგა საარჩევნო უბნებთან.

ნინო ღლონტი, სკოლის დირექტორი: —მუნიციპალიტეტის არაპირდაპირი ვალდებულებაა განათლება, მაგრამ იქნებ დაგვეხმაროთ, სკოლის უკანა ეზოს შემოღობვასა და კალათბურთის მოედნის კეთილმოწყობაში..

მერაბ ჭანუყვაძე, მუნიციპალიტეტის გამგებელი:—ჩვენ ამ მიზნით 60 ათასი ლარი შევიტანეთ ბიუჯეტში. მუნიციპალიტეტის დიდია და ვცდილობთ ყველას გადავუნაწილოთ. ვცდილობთ უყურადღებოდ არცერთი სკოლა არ დავტოვოთ.

ჯანდაცვის პროგრამით ოპერაციების უდიდესი ნაწილი ფინანსდება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვითვალისწინებთ რა ადამიანების სოციალურ მდგომარეობას, იმ დარჩენილი ნაწილის დაფინანსებაში, მედიკამენტების შეძენაშიც ვეხმარებით, რომ გადავარჩინოთ ადამიანების სიცოცხლე.

სოფელ ოზურგეთში რამდენიმე პრიორიტეტული პრობლემა მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით გადაიჭრება.

ამომრჩეველმა მერი გოგრიჭიანმა სასაფლაოს შემოღობის საკითხი დააყენა, ხოლო ქეთევან დარჩიამ განათების მოწესრიგების.

გუბერნატორის მოადგილე **გია ებრალიძემ** გუნდურ მუშაობის შედეგებზე ისაუბრა და სოფელ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ჩხაიძის მუშაობის ნაგარიში დადებითად შეაფასა.

მცირე და მიკრობიზნესის ხელშეწყობის მე-2 დაიწყო

ბიზნეს იდეების მიღება მარტის ბოლომდე გაგრძელდება. ბიზნეს იდეის წარდგენა შესაძლებელია ვებ-გვერდზე **www.qartuli.ge** აპლიკაციის ფორმის შევსების გზით.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს რეგიონებში არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებს, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია, გაიაროს კონსულტაცია და მარტივად ჩაერთოს სახელმწიფო პროგრამაში.

დარეკეთ ცხელ ხაზზე: 16100 : ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს რეგიონებში არსებული განმახორციელებელ ორგანიზაციებს: 1. აჭარა, გურია, სამეგრელო, ზემო სვანეთი - შპს ჯი-ემ-სი-ჯი - ქ. ბათუმი, ა. მელაშვილის ქ. №2; გურია, ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. №114 16100 (ცხელი ხაზი).

პროექტის ფარგლებში რეგიონებში მცირე- და მიკრო ბიზნესით დაინტერესებული პირები სახელმწიფოსგან იღებენ

- ბიზნეს იდეების დაფინანსებას (ერთ მეწარმეზე - 5000 ლარი ,მეწარმეთა ჯგუფზე 15 000 ლარი)
- საკონსულტაციო მომსახურებას

წარმოებისა და მომსახურების მიმართულებები არაა შეზღუდული

პირველი რაუნდის შედეგებით დაფინანსდა 1770-მდე ბენეფიციარი. ტრენინგი გაიარა 3118 ბენეფიციარმადღეიდან რეგიონის მოსახლეობას მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამაზე ამომწურავი ინფორმაციის მიღების ახალი შესაძლებლობაც უჩნდება. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს რეგიონებში არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებს, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია, გაიაროს კონსულტაცია და მარტივად ჩაერთოს სახელმწიფო პროგრამაში.

„ქადაგიძის ქადაგებანი“ – გვეშველა და ეგაა!

გვეშველა და ეს მერამდენედ გვიშველა, „რუსთავი-2-მა“. ამის შემდეგ ვინც ხმამაღლა იტყვის, „რუსთავი“ კი არა, „ცრუსთავიაო“, ენა უნდა ამოგლიჯო იმას. მოკლედ, „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიას“ და მის „ჯულიეტოვნას“ რომ არ ემარჯვა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტისთვის ეთერი რომ არ დაეთმო, დავიფსებოდით, მზის სხივს ველარ იხილავდა ქართულ სინამდვილეში მანამდე თვალით უნახავი და ყურით გაუგონარი „ქადაგიძის ქადაგებანი“. აბა, რა ეგონა საპარლამენტო უმრავლესობას!!! ნახეს რა დასაბლოკი!

თქვენ რა, მართლა სააკაშვილის (პეტრე მამრაძის თქმით, რომ ევროპაში მაღალი თანამდებობის პირებმა „ბუასილი“ შეაარქვეს) და ადეიშვილის კაცი გეგონათ გიორგი ქადაგიძე?

ნურას უკაცრავად!

ბატონი რომან გოცირიძისთვის მაინც გეკითხათ, ვინაც მართვე იმდენად მძლავრ არწივად აქცია, „ყვავ-ყორნებმა“, თითქმის ოთხ წელიწადში, ვერც ბუნდღა გააცალეს და ვერც ხახვი დააჭრეს ყურებზე, პირიქით, ოვაციები მოუწყვეს ბოლო „ევრიკისთვის“. „ევრიკა“ კი, როგორც უკვე გითხარით, ნაპრეზიდენტალისა და „ნაციონალური მოძრაობის“ სამაუწყებლო კომპანიაში შედგა.

„არჩევანში“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ ეთერში ფეტვივით გაფანტულ სიბრძნეებს რომ „ექსპერტებმა“ იქვე დაუწყეს კენკვა, არ გამკვირვებია, რა დაგიმალოთ და გაკვირვებისგან პირი ღია მხოლოდ მაშინ დამრჩა, როდესაც „ქართული ოცნების“ რამდენიმე წონადმა სახემ თუ „როჟამ“ „ევრიკად“ მიიჩნიეს ქადაგიძის „აღმოჩენა“, რომ ქართულ ეკონომიკას სამინისტროების შემცირება გადაარჩენს.

მართლა „ქოცი“ და „უნიათოა“, ვინც ქადაგიძის ამ „ქადაგებას“ მყისიერად დაეთანხმა!

არავინ იფიქროს, რომ მე, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, სამინისტროების შემცირების წინააღმდეგი ვიყო, პირიქით, შეიძლება მათ განახევრებასაც და თითოეულში შტატების შემცირებასაც დავუჭირო მხარი, მაგრამ თუ ხელისუფალი ხარ, თუ ქვეყნის მართვა მოგანდეს, თუ ლოგიკური აზროვნების უნარი გაგაჩნია, ხომ უნდა მიხვდე, რა, სად და როდის ითქვა?!

„ქადაგიძის ქადაგებათა“ „ქოცო“ მქადაგებელნო, რამდენიმე შეკითხვა მაქვს თქვენთან:

— ხომ ვერ გაიხსენებდით, რამდენი ხანია, სახელმწიფოს ეკონომიკა კრიზისშია, ეროვნული ვალუტა დევალვაციას განიცდის, ძალას კარგავს და სიტყვა „ლარს“ რომ წინ „ჩოი“-ს დაურთავ, იმას ემსგავსება?

— რამდენი ხანია, რაც ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტია, როგორც თქვენამდე, ისე ხელისუფლებაში თქვენი მოსვლის შემდეგ და ხომ ვერ დაგვისახელებდით მისგან წამოსულ მსგავს თუნდაც ერთ რეკომენდაციას?

— თუ დაინტერესდით, რატომ თქვა ეს ყველაფერი ქადაგიძემ ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის ბოლო დღეებში? სად იყო აქამდე, თუ მართლა წუხდა ქვეყნის დაძაბუნებულ ეკონომიკაზე, გაუფასურებულ ეროვნულ ვალუტაზე და ასე შემდეგ?

ოპ, ბოლო კითხვაში მგონი ჩავიჭერი და საბოდიშოდ გავიხადე საქმე, სულ არ გამხსენებია, რომ „ქართული ოცნების“ „გაუქოცებელმა“ დეპუტატებმა ამ ცოტა ხნის წინათ ბოიკოტი გამოუცხადეს და არ დაუთმეს პარლამენტის ტრიბუნა ეროვნული ბანკის ვერშესალევ პრეზიდენტს. კაი, ბატონებო, მოვიხდი ბოდიშს, მაგრამ ერთი ეს მითხარით, ვის დუდუკზე უკრავდა ქადაგიძე? იცეკვეთ, იცეკვეთ, მოასწარით, სანამ იმ დაკრულზე, თქვენივე კალათიდან ნაციონალების დაკრული ბელადი არ ამოყოფს თავს და „კოჰაბიტირებულებს“ სოლო პარტიებს არ შეგასრულებინებთ კარცერებში.

მანამდე აგერ, პოლიტიკურ ცენტრ „გირჩის“ გამოკითხვებით გადარჩეული სამინისტროების ჩამონათვალით შეიქციეთ თავი. ერთი კაი მინისტრის ადგილი გიორგი ქადაგიძისთვისაც გადაინახეთ. არ ჩანს მაგი ხელიდან გასაშვები ბიჭი. აბა, თქვენ იცით და თქვენმა პოლიტიკურმა გამჭრიახობამ!

ანა სეულელი

შემოქმედში ყველაზე მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა

სოფელში მრავალშვილიანი ოჯახები მატულობს

ალიონი. შემოქმედის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ხვიჩა წულაძემ ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა.

უპირველესად ამ ანგარიშის მოსმენისას, რაც განსაკუთრებულად სასიხარულო გახლდათ, ეს სოფელში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 14-ით მეტი ბავშვი გაჩნდა. გარდა ამისა წელს მეექვსე შვილი შეეძინათ ქრისტინა შაფაქიძეს და ილია ჩხატარაშვილს, ნინა ვანიძეს და მამუკა შუბლაძეს, ია თოიძეს და ვახტანგ ტულუშს.

საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა. დეპუტატის თქმით შემოქმედში ყველაზე მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა, მოეწყო ნაპირსამაგრი ჯებირი, რისთვისაც ცენტრალურმა ბიუჯეტმა 6 მილიონი ლარი გამოყო, გაკეთდა ახალი სკვერი, სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას გადაეცა სამშენებლო მასალა, სოციალური პროგრამით დაკმაყოფილდა ყველა შემოსული განცხადება. დეპუტატმა ყურადღება იმ ახალ პროექტებზე გაამახვილა, რომელსაც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო საკრებულოსთან ერთად კოორდინირებულად განახორციელებს.

წელს დაიწყება ბოხვაური-შემოქმედის გზის ასფალტირების სამუშაოები, რომელიც 2017 წელს დასრულდება. ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილია პროექტი კურორტ გომისმთის წყალმომარაგებაზე, რისთვისაც 840 ათასი ლარია საჭირო. 2017 წელს დაიწყება 3 კილომეტრი გზის ასფალტირების სამუშაოები გორისფერდის მიმართულებით. ასევე შედგენილია მდინარე აკიშაზე ხიდის პროექტი. სოფლის ცენტრში უნდა გაკეთდეს ეთნოგრაფიული მუზეუმი. ამ თემაზე საკრებულოს დეპუტატს ინგა დუმბაძეს მიაჩნია, რომ მუზეუმი მთლიანად უნდა ასახავდეს შემოქმედის ისტორიას და მასში განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს ანტონ დუმბაძეს.

შემოქმედის სკოლის პედაგოგმა გივი გიორგაძემ სოფლის საექიმო უბნის გაზიფიცირების საკითხი დააყენა, რაც სოფლის პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარე დიმიტრი კვერღელიძე გაუძღვა, მოსახლეობის მიერ დასმულ პრიორიტეტულ საკითხებს გამგებლის მოადგილემ - ბადრი გობრონიძემ და სოფელში გამგებლის წარმომადგენელმა ბესო ლომინაძემ უპასუხეს.

თხინვალის სკოლას სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაუტარებენ

ალიონი. სოფელ თხინვალის სკოლა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში აიგო. თავდაპირველად იგი არასრული საშუალო სკოლა იყო. შემდეგ მინაშენი გაუკეთეს და საბაზო სკოლა გახდა. ამჟამად სკოლაში 85 მოსწავლე სწავლობს.

– სკოლას ფანჯრები შეეცვალა.შემდეგ სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ამ უბანში მიმდინარე მეწყერული პროცესების გამო შეაჩერეს. გეოლოგების საბოლოო დასკვნას ველოდებოდით.სკოლას ბზარები მინაშენზე აქვს. ახლა ეს შენობას სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ზაფხულში ჩაუტარდება–გვითხრა სკოლის დირექტორმა ნანული ბოლქვაძემ.

უაკანაველები ფიჭური კავშირგაბმულობის სიგნალის გაძლიერებს ითხოვენ

ალიონი. სოფელ მთისპირის უკანავას უბანში 30 ოჯახი რთულ პირობებში ვცხოვრობთ. სხვადასხვა პრობლემებთან ერთად ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას სატელეფონო კომუნიკაციის არქონაც წარმოადგენს, რაც ნამდვილად გასაკვირია 21-ე საუკუ-ნეში.

ჩვენს უბანში მდებარეობს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი ჰიდროელექტროსადგური „ბახვი 3,“სადაც არაერთი მნიშვნელოვანი სტუმარი ჩამოდის. სატელეფონო კავშირის უქონლობა კი უხერხულებას ქმნის. სატელეფონო კავშირის უქონლობა ინტერნეის მიღების პრობლემასაც ქმნის.

ამ უბანში ცხოვრობს შშმ პირი– თამარ შავაძე, რომელიც მოწყვეტილია გარე სამყაროს (რაც ყველაზე მეტად მას აწუხებს), ფიჭური კავშირგაბმულობის გაძლერება უპირველესად მას გაუწევდა დიდ დახმარებს.

ვთხოვთ „მაგთიკომის“ წარმომადგენლებს გულთან მიიტანოთ ჩვენი თხოვნა და გაზარდოთ მაგთის ქსელის დაფარვის ზონა–.წერს უკანაველები შპს „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ **ნათია კახიძეს.**

მერის შენიშვნებიც და მადლობებიც სერვისცენტრის თანამშრომლებს

ალიონი. დღეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ბეგლარ სიორიძემ ა(ა)იპ ''ოზურგეთის სერვის-ცენტრი''-ს თანამშრომლებთან, ცენტრის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა გამართა.

ქალაქის მერია საგაზაფხულოდ მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებას გეგმავს, რაც ხემცენარეების მოწესრიგებასა და ქალაქის გამწვანების სისტემის საფუძვლიან განახლებას გულისხმობს.

როგორც ბეგლარ სიორიძემ აღნიშნა, ინფრასტრუქტურული პროექტები ქალაქში სწორედ იმიტომ მიმდინარეობს, რომ ქალაქი ოზურგეთი საბოლოოდ, ყველა მიმართულებით მოწესრიგდეს. ამ პროცესში კი ქალაქის სისუფთავე და გამწვანება მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ბეგლარ სიორიძემ ა.ა.ი.პ. ''ოზურგეთის სერვის ცენტრი''-ს თანამშრომლებს საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურებისკენ მოუწოდა. სხვადასხვა განყოფილებას შენიშვნები მისცა და რამდენიმე მათგანს ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობაც გადაუხადა.

დისკუსია ტერორიზმის თემაზე

ცხემლისხიდის საჯარო სკოლაში მე-11 კლასის მოსწავლეებმა მოაწყვეს დისკუსია დღეს მეტად აქტუალურ თემაზე „ტერორიზმი“.

ტერორიზმი არც ახალი ცნებაა და არც ახალი პრობლემა მსოფლიოს ისტორიაში. თუმცა, დიდი ტერორისტული აქტის შემდეგ მსოფლიო მიხვდა, რაოდენ დიდი საფრთხის მომასწავებელია ტერორიზმი და ნათელი გახდა, რომ ამერიკისნაირ სუპერსახელმწიფოსაც კი არ შესწევს ძალა დამოუკიდებლად აღკვეთოს მსგავსი ფაქტები. წლების განმავლობაში არაერთი ტერორისტული აქტი განხორციელდა ევროპის კონტინენტზე. მასობრივი ტერორისტული აქტი განხორციელდა ევროპის კონტინენტზე. ბოლო პერიოდის კიდევ ერთი ხმაურიანი თავდასხმა ქალაქ ტულუზას ებრაულ სკოლაში მოხდა.

აქედან გამომდინარე, შეირჩა დისკუსიის სლოგანიც „ნუ გამოიყენებ ტერორიზმს შენი მიზნების განსახორციელებლად“. თითოეული მოსწავლე აქტიურად იყო ჩაბმული დისკუსიაში, რომელიც მიჰყავდა ორ მოსწავლე ჟურნალისტს: იანა ბადასიანს და მაია თვალაბეიშვილს. აზრი გამოთქვეს მოსწავლეებმა: ანი გაგნიძემ, ეკა გოგუაძემ, ნატა ჭანუყვაძემ, მარიამ დავაძემ, ანზორ ბორჩხაძემ და სხვებმა. დისკუსიას ესწრებოდნენ სკოლის მასწავლებლები, ფასილიტატორი იზოლდა კვაჭანტირაძე, დირექტორის მოადგილე მაყვალა ხეჩუაშვილი.

დისკუსია დაგეგმა სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა ნანა კიკაბიძემ. დისკუსიამ ნაყოფიერად და საინტერესოდ ჩაიარა.

ჰუმანიტარული აქცია ხელოვნურ კვებაზე მყოფი ბავშვების მშობლებისათვის

17 თებერვალს გურიის სამხარეო ადმინისტრაციისა და საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ერთობლივი ძალისხმევით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 5 ოჯახს **Humana**-ს პროდუქცია გადაეცა საჩუქრად. აქცია ეხება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულ იმ ოჯახებს (65000-მდე სარეიტინგო ქულით), რომლებსაც ჰყავთ ხელოვნურ კვებაზე მყოფი ერთ წლამდე შვილი. ბენეფიციარები ყოველთვიურად მიიღებენ კომპანიის პროდუქციას მანამ, სანამ ბავშვი ერთი წლის გახდება.

გურიის გუბერნია კვლავ აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას აღნიშნულ ორგანიზაციასთან. ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სამედიცინო ეტლები გადაეცათ საჩუქრად.

პროექტი უნდა დაუახლოვდეს რეალობას

მინდა ყურადღება გავამახვილო ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროექტზე. რა თქმა უნდა, მისასალმებელია ხელისუფლების მცდელობა, ამ მიმართულებით გადაიდგას ნაბიჯები, მაგრამ რამდენად სწორად არის ეს ყველაფერი გათვლილი, ამაში საზოგადოება, განსაკუთრებით ამ ბიზნესით დაინტერესებული პირები და პროექტის მონაწილეები უნდა იყვნენ ღრმად დარწმუნებულები. საქართველოს, მათ შორის ოზურგეთს ჰყავს ინტელექტუალური, მეცნიერული, თუ პრაქტიკოსი სპეციალისტების მძლავრი პოტენციალი. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს პოტენციალი სრულფასოვნად არ არის გამოყენებული, რაც პროექტის შინაარსში ნათლად ისახება. თემა, თავისთავად, განსახორციელებლად ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ჩანს, რომ ხელისუფლებას აქვს მცდელობა, გლეხური მეურნეობების, გაერთიანებების, თუ კოოპერაციების ჩამოყალიბებისთვის შექმნას წინაპირობები, მაგრამ მხოლოდ ეს მოცემულობა, ამისთვის საკმარისი არ არის. ამას უფრო მასშტაბური და სიღრმისეულო მიდგომები სჭირდება, მათ შორის საგანმანათლებლო. იდეა კარგია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ეს ძალიან რთული პროცესია და მას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს კარგად გათვლილი, გრძელვადიანი ბიზნესგეგმები შესაბამისი რისკების გათვლით, შემეცნებით-საგანმანათლებელო ტრენინგ-სემინარები, და რაც მნიშვნელოვანია, დაინტერესებულმა პირებმა მკაფიოდ უნდა დაინახონ აღნიშნული პროექტის მიზანშეწონილობა და ეკონომიკური ეფექტი. ამავდროულად, დიდი სიფრთხილითა და ღრმა ანალიზით უნდა მოვეკიდოთ ამ პროექტით გათვალისწინებულ ეტაპობრივად გასატარებელ ღონისძიებებს, სარეაბილიტაციო ფართობების პერსპექტიული სეგმენტის სწორ განსაზღვრასა და შესასრულებელი სამუშაოების ადეკვატურ ფინანსურ უზრუნველყოფას. აუცილებლად გასათვალისწინებელია არსებული სუსტი მატერიალურ ტექნიკური ბაზა და შესასრულებელ ღონისძიებებთან მათი შესაბამისობა. ჩემი აზრით, ბევრი დაინტერესებული ადამიანი ამ ეტაპზე უარს იტყვის ამ პროექტში მონაწილეობაზე, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს აღნიშნული პროექტის ხარვეზულ ნაწილს. პროექტის შემდგომი დახვეწისა და რეალობასთან დაახლოების მიზნით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დაინტერესებული რეგიონების ხელმძღვანელების პრინციპულ პოზიციას შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან მიმართებაში. ძალიან ხშირია, როდესაც დარგობრივი სამინისტროებისა და სახელისუფლებო სტრუქტურების კაბინეტებიდან ხედვები და მიდგომები შეუსაბამოა და აცდენილია არსებულ რეალობებს. მიზანშეწონილად და აუცილებლად მიმაჩნია, პროექტის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისა და განვითარების მიზნით, გაგრძელდეს პროექტის დასახვეწად მუშაობა და ეფექტურად, მიზანმიმართულად იქნას გამოყენებული რეგიონში არსებული დარგის სპეციალისტებისა და მეცნიერების დაგროველი გამოცდილება და შესაძლებლობები.

თემურ სალუქვაძე

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი.

თამაზ ხარაიშვილის ახალი თარგმანები



2 თებერვლამდე მკითხველი თამაზ ხარაიშვილს იცნობდა როგორც განსხვავებული ხედვის პოეტსა და შორსმჭვრეტელ პუბლიცისტს, 2 თებერვალს კი ეს კალმოსანი ჩვენებური კაცი საინტერესო მთარგმნელადაც მოგვევლინა. ფეისბუკში გამოქვეყნებულმა მისმა თარგმანებმა საზოგადოებას კელტური ლიტერატურული და მუსიკალური ფოლკლორის გაცნობის საღერღელი აუშალა.

„ჩემს მოკრძალებულ საჩუქარს ვუძღვნი ბრიტანელებს მარჯორი ბრეის, დეივიდ თაგუელსა და მის ახალ ცოლს, მარკ ჯეკსონს, აშლინ-არმორ და მირანდა ბრაუნებს, ლორნა სიმფსონს, ფრანი ფრისტს, ქეროლაინ ბითელს და სხვებს“, - წერს სოციალურ ქსელში ბატონი თამაზი, მაგრამ თუ ის განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას, ჩვენი აზრით, ქართველ მკითხველს მოკრძალებულზე მეტ საჩუქარს გაუკეთებს.

თამაზ ხარაიშვილი: ეს ტექსტები წარმოადგენს კელტური ბალადების თარგმანებს. მათი ლიტმოტივი სიყვარულია. საერთოდ, კელტური მუსიკალური ფოლკლორი სავსეა სამიჯნურო თემატიკით და ქართულისაგან განსხვავებით, ერთობ ინტიმური, ადამიანური ვნებებითაა გაჯერებული. მათ დედნის ენაზე არა აქვთ რითმა, სასიმღერო ტექსტებია და გარითმვის გარეშეც კარგად ჟღერს. თარგმნისას შევეცადე ეს ტექსტები გამერითმა, რათა საკითხავადაც კარგი ყოფილიყო, რაც გამოვიდა, მკითხველმა განსაჯოს. 5 მათგანი ფოლკლორს განეკუთვნება, ხოლო ერთის ავტორი რობერტ ბერნსია, მისი შემოქმედება კი, მოგეხსენებათ, ხალხურთან არის გაიგივებული. ამ ლექსში გათხოვილ ქალთან პოეტის გამიჯნურებისა და მასთან მტკივნეული განშორების რეალური ამბავია გადმოცემული. ამ ტექსტებს ჩემი მეუღლის მეოხებით გავეცანი, მომინდა მათი გადმოქართულება და ამით მადლიერების გამოხატვა ჩემი ოჯახისა და ჩვენი ქვეყნის გულითადი მეგობრების მიმართ. მოკლედ, ჩემს მოკრძალებულ საჩუქარს ვუძღვნი ბრიტანელებს მარჯორი ბრეის, დეივიდ თაგუელსა და მის ახალ ცოლს, მარკ ჯეკსონს, აშლინ- არმორ და მირანდა ბრაუნებს, ლორნა სიმფსონს, ფრანი ფრისტს, ქეროლაინ ბითელს და სხვებს. ფეისბუქი და *მეგობრობა რამ გაყო?*

ბატკნები მწვანე ფერდობზე

მწვანე ფერდობზე დაკუნტრუშებს ბატკნების ფარა.
მარწყვის მდელოა სანაპირო, ოკეანეს აფრები ფარავს.
ამხედრებულა პატარძალი ჩაუქად, ლაღად,
მაყრიონს უძღვის, მონასტრისკენ მიიწევს მაღლა.
ფეხდაფეხ მივდევ, საბრალო გულს დარდი მეგზურობს.
უნდა დავესწრო სატრფოს ქორწილს, საუბედუროდ.
მობრუნებულებს ეს შევძახე (მესხმოდა რეტი):
„თუმც იქორწინე, ვერვინ გაგვყრის სიკვდილის მეტი“.
ნეფე შემომწყრა: „უგუნურო, ერთს გეტყვი მხოლოდ,
მისმინე, თორემ ჩემი ხმალი მოგიღებს ბოლოს.
გვიანი არის ახლა ოხვრა, ჭმუნვა და გმინვა,
ტურფა ასული შენ ყოყმანმა დაგაკარგვინა“.
„მზე ჩაესვენა, მხოლოდ ბნელეთს უნდა ვუცქირო,
ჩქარა სამარე გამითხარეთ ფართო, უძირო.
თან ჩამატანეთ სურნელოვან ყვავილთა წნული,
რომ დაამშვიდოს სიყვარულით მბორგავი გული“.

მოლი მალოუნი

ლამაზმანებით დუბლინს, ალბათ, არ ჰყავს მოცილე.
როცა შეეწინშნე, მოლი მალოუნს მზერა დიდხანს ვერ მოვაცილე.
თვლიან ურიკით დაჰყვებოდა ქუჩებს განიერს,
ეფინებოდა წკრიალა ხმა იმერ-ამიერ:
„აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები“ ....
თევზით ვაჭრობდა მოლი ლამის დღიდან გაჩენის,
მშობლებისთვისაც თევზი იყო თავის სარჩენი.
რეკდნენ ქუჩებში მათი ხმები როგორც ზარები:
„აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები“.....
მოლი ციებამ შეიწირა, ვერ შეძლეს შველა.
გაფრინდა იქით, სადაც ბოლოს მიფრინავს ყველა.
დუბლინის ქუჩებს ახლა სტუმრობს მოლის აჩრდილი.
ექო კი არა, წკრიალა ხმა ისმის, ნამდვილი:
„აბა, ცოცხალი, მოლუსკები და ნიჟარები“....

ბრიგის ბაზრობა

ავვისტოს ხუთი, დღე გათენდა პირმშვენიერი:
ფრთაშესხმულივით მივაშურე ბრიგის ბაზრობას.
მიმიქანებდა სიყვარულის ძალა ძლიერი,
გული საგულეს არ იცდიდა, წინ-წინ გარბოდა...
რა წამს შემეხო , შროშანივით თეთრი ხელები,
მყის დამიამდა გული ტრფობით განახელები.
კვლავ აფართქალდა სიყვარული განაყუჩები.
თრთოლვით, ცახცახით აჩურჩულდნენ სატრფოს ტუჩები:
„წარსულში დარჩა განშორების მწარე ფიქრები,
ამიერიდან საუკუნოდ ერთად ვიქნებით“.
ძალუმ ვიგრძენი ისევ შეყრის სიტკბო, სიამე,
რომ განშორება გულში აჩენს მხოლოდ იარებს.
ვინც სიყვარულის ნერგს დააჭნობს, მოსხიპავს ყლორტებს,
ის უკანასკნელ ავაზაკზე უფრორე სცოდავს.
მე მირჩევნია, რომ, საერთოდ, დავმიწდე, მოვკვდე,
ვიდრე ფიქრშიაც ვუღალატო ჭეშმარიტ გრძნობას.

ერთი კოცნაც და .....

განშორებისას ერთი ტკბილი კოცნაც მისაგზლე.
ცრემლები წვიმად ეფინება ლამის მიწამდე.
სიტყვას ვიძლევი, არ მოვიკლო ოხვრა და ვიში.
ტკივილი მომკლავს, ისე როგორც ტკივილით ვიშვი,
მე ჩემს სიყვარულს, აბა, აუგს როგორ შევკადრებ.
უძლური ვიყავ მის წინაშე ერთობ, მეტადრე.
ნენსის დანახვამ შემომაგზნო ცეცხლი დამდაგი
და მონა გავხდი ყურმოჭრილი მისი მარადის.
ეს სიყვარული უსაშველო, ბრმად მოარული,
ორივეს გვემტრო, უმოწყალოდ მოგვიკლა გული.
მშვიდობით, ჩემო დაუმშრალო სიცოცხლის წყაროვ;
ეს განშორება სიკვდილს უდრის, დაუვიწყარო.
მაინც მადლობას ვწირავ უფალს, არც ვის ვემდურვი,
ეს სიყვარული იყოს შენი შემწე, მეგზური.
მე რაც მეკუთვნის, ის მარგუნე, ბედო ტიალო, -
სულმა და ხორცმა რომ ცალ-ცალკე იხეტიალოს.

(რობერტ ბერნსი)

ერთხელ შავწყალა მდინარის პირად

დილაადრიან, სანაპიროსთან, მოსეირნეთა რიგს შევუერთდი.
თვალი ეძებდა, და ჰპოვა კიდეც - ირლანდიელი დავლანდე ერთი.
წამს სიყვარულმა იფეთქა ძალუმ და გულსაც ცეცხლი მოედო მყისვე.
არ გვიძინია, შუაღამემდე თავდავიწყების მორევში ვყვინთეთ.
როს ისინათლა, ვაჟი წამოდგა, სამოსელს თვისას მოჰხვია ხელი.
„აწ-კი, მშვიდობით“. - ესა თქვა მხოლოდ და აჩქარა ნაბიჯი ნელი.
„განა, ეს იყო, რასაც შემპირდი, როს დაეწაფე ჩემს მკერდს ალერსით?
ყველა ფუჭი და რიოში დარჩა, რაც სიტყვა დასცდა ენას ალესილს.
მტილს მიაშურე მამიშენისას. იქ ცრემლით გული უფრორე ლბება.
ამ უიღბლობას ვერ დაივიწყებ, სულისწარმწყმედელ ჟინსა და ვნებას.
ვიდრე შენ ჩემზე დაქორწინდები, ანდა ქალს ნახავ ჩემებრ თვინიერს,
უმალ თევზები ცაში იფრენენ, ზღვები დაშთების წყლისა თვინიერ.

გზას მიიკვლევდა დახლებს შორის ჩემი სიყვარული

მან მითხრა, დედამ დასტური ბრძანა, მამაც არ ჰკილავს შენს სიღარიბეს.
მალე დადგება დღე სანატრელი, როცა დავიდგამ პატარძლის რიდეს.
ეს მითხრა მხოლოდ, ნაზად შემეხო, მერე გაშორდა ჩემი ფერია,
დახლებისაკენ გასწია მშვიდად, აგნიასებულ ხალხს შეერია.
მიაცილებდა მას ჩემი მზერა და სიყვარული შთენილი ობლად.
ერთი ვარსკვლავი ფხიზლობდა ცაზე, წინ მიუძღოდა გზის მანათობლად.
ამბობდნენ, თურმე, რომ აქამომდე არვის უხილავს წყვილი ამგვარი-
ერთმანეთისთვის დაბადებული და სიყვარულის ცეცხლით დამწვარი.
თუმც მაინც ვგრძნობდი, რომ მისი სული დარდს ისრუტავდა როგორც ღრუბელი,
ჰაეროვანი სხეულით მძიმე დაჰქონდა სევდა გამოუთქმელი.
როცა ბაზრიდან ნავაჭრით ხელში მიგოვმანებდა სახლისკენ ნელა,
თურმე ვხედავდი მას საბოლოოდ, თურმე ვხედავდი უკანასკნელად.
წუხელ მეახლა მკვდარი მიჯნური, ფეხაკრეფით და რიდით მოვიდა.
აქ სულეთიდან მობრუნებულმა, კვლავ გამომიხმო სიმარტოვიდან.
ნაზად და კრძალვით შემახო ხელი და აჩურჩულდა ჩემი საბედო:
ძალიან მალე დავქორწინდებით, აღარ ვიცხოვრებთ უერთმანეთოდ.

ნუ განიკითხავთ წმინდა მამებს

ეკლესია არის სახელმწიფოს ძლიერი, მამოძრავებელი, საყრდენი ძალა, საყდარი, სახლი უფლისა, რომელშიც მისი მსახურნი მღვდლები და ბერ-მონაზონები მოღვაწეობენ.

უფალმა მღვდლები თავის მოციქულებად დაადგინა. ამიტომ მათგან ყველაფერს მისაბაძსა და საუკეთესოს მოითხოვს. მღვდელი, თავისი ქცევით, ქრისტეს უნდა ემსგავსებოდეს, მას თავისი პიროვნებისათვის შეუფერებელი ქცევა თუ საქმე ყველაზე ძნელად მიეტევება და შეენდობა. ასე განისჯებოდნენ უხსოვარ დროში და იგივეა დღესაც. გავიხსენოთ თუნდაც, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე სამღვდელოების წინაშე წარმოთქმული სიტყვა მეფე თამარისა:

— წმინდანნო მამანო, თქვენ ყველაზე მეტად მოვალენი ხართ ღირსეულა, კეთილად და სამართლიანად იღვწოდეთ. ღვთის განჩინებით თქვენ ხართ მოძღვრად მოვლენილი ჩვენთვის. თქვენ უნდა პასუხი გასცეთ გამჩენს, თუ რომელიმე ჩვენგანი თქვენის დაუდევრობით სულს წაიწყმენდს. თვალყური ადევნეთ კეთილ საქმეს, გამოიძიეთ, გამოიკვლიეთ ბეჯითად თქვენი სამწყსოს ყოველი ნაბიჯი, სამართლე დაამტკიცეთ, უსამართლობა განდევნეთ. ბოროტმოქმედნი დაუსჯელნი არ უნდა დარჩნენ. იწყეთ მართლმსაჯულება პირველად თუნდაც ჩემზე, თუკი ვარ დამნაშავე და რაიმეში მედება ბრალი...

სამწუხაროდ, დღეს ფართოდ გავრცელდა მთელ ქვეყანაში, მათ შორის გურიაშიც, აზრი იმის შესახებ, თითქოს ეკლესიის მსახურნი ძალიან გაიხრწნენ და გადაგვარდნენ. ისინი მხოლოდ სიტყვით ქადაგებენ კეთილს, ხოლო თავიანთი საქმეებით სატანას ემსახურებიან. მათი უმრავლესობა ამქვეყნიურ ფუფუნებასა და განცხრომაში ცხოვრობს, არ იკლებენ ქეიფსა და დროსტარებას. ჰყავთ ორი და სამი მანქანა, ჯიპები და სხვა სახის ავტომობილები, რომლებსაც პირადი კეთილდღეობისათვის იყენებენ. ჯიბეებში უდევთ ძვირადღირებული მობილურები. მოკლებულნი არიან ყველა იმ თვისებას, რომელიც სასულიერო პირთათვის არის დამახასიათებელი.

მაგრამ, მოდით, დავფიქრდეთ, გავიაზროთ, საკუთარი თვალით ვიხილოთ არის კი ეს ყოველივე სიმართლე? როდემდე უნდა ავყვეთ უმეცართა ბრბოს, ჭორების შემთხზველ, ცილისმწამებელ ადამიანებს?! მათ აზრადაც კი ვერ წარმოუდგენიათ, რა მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობას ასრულებენ ჩვენი სულიერი მამები. თუნდაც ერთი წუთით ჩავიხედოთ ჩვენი მოძღვრების გულებში, რომლებიც სიყვარულითა და სიკეთით არიან სავსენი. ისინი ხომ თითოეული ჩვენგანის ჭირსა და ლხინს იზიარებენ. რამდენ სასარგებლო რჩევას და დარიგებას ვიღებთ მათგან, რომელთა გარეშეც ძალიან გაგვჭირდებოდა ცხოვრება და დღემოდამ ცოდვის ჭაობში ვიქნებოდით ჩაძირულნი. ისინი ხომ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი სულები იხსნან დალუპვისაგან და თვითონაც პირნათლნი წარსდგნენ მომავალი სამსჯავროს წინაშე, რომელიც დღეს ასე მოახლოებულია. ისინი ყოველდღე, ყოველგვარ ამინდში, თოვლსა თუ ყინვაში ცივ ტაძრებში საათობით ფეხზე დგანან და ხელაპყრობილნი წირვა-ლოცვას აღავლენენ, ამით უფალს ემსახურებიან.

როგორ უნდა წარმოთქვან მათზე საყვედური ისეთმა უსაქმურებმა, რომლებიც ჯერ ტაძარში ერთხელაც არ შესულან და არც კი იციან, იქ რა ხდება. ზოგიერთები კი მხოლოდ უდიდეს დღესასწაულებზე დასწრებით და სანთლების დანთებით წყვეტენ ყველაფერს და თავს ეკლესიურად, მორწმუნეებად მიიჩნევენ. სწორედ ასეთები არიან ჩართული სამღვდელოების ლანძღვა-გინებაში, რაც უდიდესი ცოდვაა! ვის აქვს უფლება, აუგი წარმოთქვას თუნდაც ჩვენს მეუფეზე, იოსებზე, უაღრესად მორწმუნე, განათლებულ და შორსმჭვრეტელ ადამიანზე. ის ძალ-ღონეს არ იშურებს იმისათვის, რომ აკეთოს ისეთი საქმეები, რომელიც უფალსაც და ადამიანსაც სიამოვნებას მოგვრის. მეუფე იოსები ხომ ჩვენი წმინდა მამა გაბრიელის ყოფილი აღმსარებელია, რომელსაც პატივი ერგო გვირგვინით შეემკო გარდაცვლილი წმინდანის თავი. ის ხსენებული წმინდანივით თავმდაბალი, სანდომიანი და კეთილშობილია. მე მის წარსულსა და ბიოგრაფიას არ ვიცნობ, მაგრამ როგორც ეკლესიის მრევლი, ხშირად ვისმენ მის ქადაგებებს, ვხედავ დიდ გაწეულ შრომას ჩვენი ეკლესიისა და ხალხის წინაშე, ვგრძნობ, რომ ის არაჩვეულებრივად კარგი ადამიანია.

იყო დრო, როდესაც რაიონში სულ სამი ეკლესია მოქმედებდა და სამი თუ ოთხი მოძღვარი მოღვაწეობდა. ამ დროს ძალიან ადვილი სამართავი იყო ეკლესია, მაგრამ, დღეს, როცა ამდენი ტაძარი ამოქმედდა და უამრავი ახალი აშენდა, თითქმის ყველა სოფელში წირვა-ლოცვა ტარდება, ეკლესიების წინამძღვარ ჩვენს მეუფეს, მთლიანად სამღვდელოებას ბევრი საფიქრალი და სამოქმედო საქმე გამოუჩნდა. დღეს წარმოუდგენელად შეუძლებელია ტრანსპორტის გარეშე გადაადგილება და დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება. მღვდელიც ხომ ღვთისაგან გაჩენილი, ჩვეულებრივი ადამიანია. ისიც ხომ იღლება და იქანცება. მასაც ისევე სჭირდება ტრანსპორტი, როგორც სხვა პროფესიის ადამიანებს.

ხშირად განიკითხავენ ჩვენს მონაზონებსაც, ახალგაზრდა ქალებსა და გოგონებს, რომლებმაც თავიანთი ნებით დათმეს ყოველივე ამქვეყნიური, დატოვეს ოჯახები, საყვარელი მშობლები, ნათესავები და ცხოვრება ქრისტეს სიყვარულს მიუძღვნეს. ისინი ქება-დიდების ღირსნი არიან და არა ლანძღვის.

დღევანდელი ქალები, უსიყვარულოდ, ორჯერ თუ სამჯერ თხოვდებიან მხოლოდ კარგი ცხოვრებისათვის, ბევრი ფულისათვის, პირადი ამსოფლიური კეთილდღეობისათვის. ზოგიერთი მათგანი საერთოდ ტოვებს საშობლოს და იმისათვის, რომ ცხოვრება აიწყოს, იქ, უცხოეთში ყველაფერს კადრულობს და ქართველი ქალის ღირსებას ლახავს. ჩვენი მონაზონები კი ამ დროს დღე და ღამეს ლოცვასა და ღვთის დიდებაში ატარებენ და წმინდანებს ემსგავსებიან.

მათ ხომ ღმერთს სამუდამო ერთგულება აღუთქვეს. მათი სულები ამქვეყნად ყველაზე მაღლა დგანან და სამოთხისეულ ნეტარებას ელოდებიან.

თუ გადავხედავთ და დავუკვირდებით, ეკლესიაშიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ანაფორის კალთას ამოფარებული რამდენიმე უღირსი მღვდელი, მაგრამ მერწმუნეთ, ისინი არაფერს წარმოადგენენ და საბოლოოდ ჩვენს წმინდა სამღვდელოებას ჩრდილს ვერ მიაყენებენ.

მღვდელი, რომელიც უსამართლოდ მოიქცევა, ჩვენგან ლანძღვის და განკითხვის ღირსი კი არა, შეცოდების და სიბრალულის, მიტევების და შენდობის ღირსია, რადგან, ჩვეულებრივ ერისკაცთაგან განსხვავებით, ისე სასტიკად დაისჯება, იქნებ თქვას კიდეც, ნეტავი სულაც არ ვშობილიყავი ამ ქვეყანაზეო.

მაშ, ვილოცოთ მათი და ყველას სულების გადარჩენისათვის. ვეცადოთ არ განვიკითხოთ წმინდა მამები.

ნანა ჯანხოთელი

ПОЕЗИЯ

მე ვარ ქართველი

მე ვარ ქართველი, ქართვლის ძე ვარ, ქართვლის ასული.
ბროლის გულმკერდში საფირონის თვალად ჩასმული.
ნიჭი გამომყვა რუსთველური, ღონე – ზევსური,
მე ვარ გურული. მე ვარ სვანი, მე ვარ ხევსური.

ენით ქართულით, ვწერ, ვკითხულობ და ვლაპარაკობ,
ღმერთთან ვსაუბრობ ამ ენაზე, მას ვევედრები.
ჩემს ქვეყანაში იზრდებოდნენ ტურფა ასულნი,
მისთვის კვდებოდნენ, თავს წირავდნენ გმირი მხედრები.

მხარე ლამაზი, ზვიად მთებით გარშემორტყმული,
ედემის ბაღში, მზის სხივების ოქროდ მორთული.
მის სადღეგრძელოს შევსვამ თასით ყველას წინაშე,
შევალ ტაძარში და ვილოცებ იქ მუხლმორთხმული.

არ შემიძლია უმისობა არც ერთი წუთით,
ვერ ვეგუები უცხო ედემს, უცხო მთაგორებს,
უსამშობლობას ნუ მომისჯის ქვეყნად უფალი,
მისგან სიშორეს სიტყვითაც კი ნუ გამაგონებთ.

ნანა ჯანხოთელი.

მწერალ გიორგი კეჭაყმაძის გულთბილი მოსაგონარი



ერთი წელი გავიდა, ჩვენო გიორგი, რაც დაგვტოვე, როგორ გვაკლიხარ, ჩვენო უღალატო სიყვარმის მეგობარო. შენ ის კაცი ხარ, ვინც სიკეთე გაიხადე ცხოვრების მეგზურად. უსაშველო გულთბილი, ბოლომდე იყავი ჩვენი ჭირის და ლხინის თანამოზიარე. ძალიან გვიჭირს შენს სამეგობროს შენი არყოფნა. გვაკლია შენი დიდი სიყვარული. ეროვნული კაცი დააკლდი შენ სოფელს, რაიონს, გურიას, საქართველოს. დააკლდი შენს დიდებულ ოჯახს, მაგრამ შენი ნაღვაწით, დიდი ნაშრომებით შენი შესანისნავი წიგნებით კაცურკაცობით მუდამ იცოცხლებ სანათესაოს, სამეგობროს და ყველა განათნებული, მწიგნობარი ადამიანების გულში. არ მინდა შენზე წარსულ დროში საუბარი, ამიტომ შენდამი ადრე მოძღვნილი ლექსით კიდევ ერთხელ შეგეხმიანები და მოგესიყვარულები.

მწერალ გიორგი კეჭაღმაძეს

დიდ მეგობრობის უფლებით,
მსურს, გითხრა ჩემი სათქმელი,
ხარ ერის ჭირისუფალი,
მართლაც ალალი ქართველი.
გურიის რეგიონიდან
ხმიანობ კარგი მწერალი,
თქვენი კაცობით დაიპყარ,
სიკეთის დიდი მწვერვალი.
სოფელში თქვენებრ მოღვაწე,
თითო-ოროლა თუ არის,
მიკვირს ამდენ წიგნს როდის წერ,
თანაც ოჯახი, სტუმარი...
ქართული სიტყვის ოსტატი,
ფილოლოგი და მკვლევარი,
ისე მიქრიხარ, აღმასვლით,
ვერ დაგეწევა მწევარი.
თხზავ, თარგმნი, წიგნებს
გამოსცემ, ფიქრობ, იწვი და ილევი,
თითქმის მსოფლიოს გააცან
პატარა ნაღობილევი.
თქვენი პირველი ნაბიჯი,
დროინდელია ბავშვობის,
წიგნის თაროებს გიმშვენებს,
მოწაფეობის ნაშრომიც.
ცხოვრების გულში ტრიალებ,
გმობ ორგულსა და მისთანებს,
რასაც გრძნობ, ხედავ, განიცდი,
ქაღალდზე გადაიტანე.
თუმც წლები სწრაფად გარბიან,
ჯერ კიდევ წინ გაქვს დრო, ხანი,
გულს ნუ გაიტეხ გასწიე
შემოქმედების ჭაპანი.
კვლავაც ქმნი ახალ ნაშრომებს,
თანაც დიდ ოჯახს პატრონობ,
კიდევ სამოცდათხუთმეტი
გეცოცხლოს გოგი ბატონო!

ნოდარ დონაძე

სკანვორდი





№ 7-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ნიკოლოზ ბარათაშვილი; რუსოს სახელი – ჟაკ; ძველი თბილისის უბანი – ვარდიგორა; კვერცხისმდებელი ზღვის ცხოველი – კუ; მდინარე რუსეთში – ვოლგა; ბროკერის გასამრჯელო – კურტაჟი; ბელგიური ნაგაზი – ტერვიურენი; გურული ფირალი – დოლიძე; დედანი – ორიგინალი; მწვანე მინდორი – მოლი; ნევროზის სახეობა – ისტერია; კაცის სახელი – უშანგი; ავსტრიული ფული – შილინგი; პოლიგრაფიული ტერმინი – აპზაცი; დიდი ისტორიული მონაკვეთი – ერა; მარტოსული – ეული; ქართველი ჩემპიონი ველოსპრინტში – ფხაკაძე; ა. წერეთლის გაზეთი – ბზიკი; ქართული გაზეთი – ალია; ბოსტნეული მცენარე – რეჰანი; მთა თბილისში – ელია; შეძახილი – ოუ; მოდელთა სცენა – პოდიუმი; შენ მეგრულად – – სია; ქიმიური ელემენტი – სიბორგიუმი; ლექსის ერთგვარი ფორმა – კაფია; ვაჟი – ძე; მუნიციპალიტეტი სამეგრელოში – აბაშა.

ეპოქა ფირალთა ზეობისა
მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

დასაწყისი იხილეთ №31 3 აგვისტო, 2015 წელი, №2--7 2016 წ

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



გურიაში ნაროდნიკულ თეორიებს აღვივებდა ისიდორე გიორგის ძე ქიქოძე. დაიბადა 1850 წელს, გაბრიელ ქიქოძის მშობლიურ სოფელ ბახვში. 1872 წლისთვის იყო პეტერბურგის (სამხედრო აკადემიის) სამედიცინო აკადემიის სტუდენტი, რომლიდანაც შემდგომში გამორიცხეს ხალხოსნურ ორგანიზაციაში მუშაობის გამო და რომელიც ამავე ორგანიზაციის დავალებით 1875-1877 წლებში ცხოვრობდა იმჟამად თურქეთის მფლობელობაში შემავალ ქობულეთის ახლო, 6 კმ-ს მოშორებით ერთ-ერთ სოფელში, წვერშეღებილი აჭარელის ოჯახში, საიდანაც ხელმძღვანელობდა ხალხოსნურ მოძრაობას დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით კი გურია-სამეგრელოში. ისიდორე ქიქოძესთან პირადად იყო დაკავშირებული საქართველოში ხალხოსნური მოძრაობის მეთაურთაგანი მიხეილ ყიფიანი, რომელიც არაერთხელ ყოფილა სოფელ ბახვში, ნაგომარში, ლიხაურში და ნატანებში ისიდორე ქიქოძესთან და მასწავლებელ გიგო შარაშიძესთან ერთად. ადგილებზე აძლევდა მითითებებს. ხელს უწყობდა, ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

ისიდორე ქიქოძის და გიგო შარაშიძის მიერ ხალხოსნური არალეგალური ორგანიზაციები ჩამოყალიბდა 1876-1877 წ-ში გურიის სოფლებში: ბახვში, ნაგომარში, ლიხაურში, აკეთში, ხიდისთავში, დაბლაციხეში... ამ ორგანიზაციებში გაერთიანებული იყვნენ შეძლებული გლეხები და თავად ძალასაც ისინი წარმოადგენდნენ.

საქართველოს ამ კუთხეს - გურიას ხალხოსნები მოძრაობისათვის საქართველოში იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ევროპიდან გამოგზავნილი ყველა არალეგალური ლიტერატურა საქართველოში მხოლოდ ამ გზით შემოდიოდა და ამავე გზით კავშირი მყარდებოდა საზღვარგარეთთან.

არალეგალური ლიტერატურის მთავარი „საწყობი“ მდებარეობდა სოფ. ბახვის ტყეში და ნასაკირალში, სადაც ხელისუფლებისათვის ფრიად საშიში ეს ლიტერატურა, ინახებოდა მიწაში ჩაფლულ ქვევრებში. ამ ქვევრების არსებობა იცოდა ბახველმა გლეხმა სოფრო ნიკოლაიშვილმა. არალეგალური ლიტერატურა იგზავნებოდა შვეიცარიიდან, რომელიც თურქეთის გზით ცხენებით გადმოქონდათ ლიხაურელ გლეხებს - სამოელ და ანტონ შავიშვილებს, რომლებიც ამ ლიტერატურას გადასცემდნენ ზემოხსენებულ სოფრო ნიკოლაიშვილს, საიდანაც იგი ნაწილდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გასაგზავნად.

1876 წლის აგვისტოში სოფ. ბახვის ტყისა და ნასაკირალის „საწყობში“ მიიღეს 1600 ცალი სხვადასხვა სახელწოდების აკრძალული წიგნები.

1876 წელს ისიდორე ქიქოძემ აცნობა მიხეილ ყიფიანს, რომ ადგილზე ორგანიზაციებისათვის საჭირო საბეჭდი მანქანის შეძენისათვის დამატებით საჭირო იყო 300 მანეთი, და რომ მიღების შემთხვევაში აღნიშნული მანქანა დაფუძნებული იქნებოდა ფარულად ნაკაშიძის მამულში - საღარიბოს ტყეში, შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის ფორპოსტის ახლოს.

1876 წლის 14 ივნისს ისიდორე ქიქოძემ აჭარელი ბეგის ოჯახში მიიღო ცნობა, სამეგრელოს გლეხებში ხალხოსნური პროპაგანდის ნაყოფიერად მიმდინარეობის შესახებ. ქიქოძემ ამავე მოკავშირის საშუალებით აცნობა სამეგრელოს გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელს, რომ შესაფერისი პირობების არარსებობის გამო არ გადაედგათ არავითარი გადამწყვეტი ნაბიჯი ავჯანყებისაკენ, ვინაიდან საამისო მომზადების საფუძველი იმ ჟამად არ არსებულა.

***

ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირდა ჩვენში ავაზაკობა. დიდი სიფრთხილე უნდა ჩვენში ახლა კაცს და საჭიროა მისთვის ყოველიმხრით მზერა ჰქონდეს გამახვილებული, თორემ შენი მტერია უკანიდან ვინმე მოგეპარება და გადაგაცვამს კისერზე ღელეჭს. მორჩა და გათავდა. გახშირდა ჩვენში კაცის კვლა, ტყვეს გაჰყიდვა და ძარცვა ჩვენივე კაცების ხელით. ასე გასინჯეთ, რომ ამ ჩვენებურ შინაურ მტრებს გარდა, გარეგანი მტრებიც მოსვენებას აღარ გვაძლევენ. გამოდიან თულები (ავაზაკები) საზღვარს გაღმიდან და თითქმის ყოველ ღამეს არიან დარაჯთა გზებში ჩამჯდარნი. ვისმეს გაძარცვავენ, თუ არადა ხელცარიელი მაინც არ იქნება მათი დაბრუნება უკან. გაგვილალაეს ცხენები, ხარები და ძროხები.

ნაროდნიკელი სოციალიზმისა და ძალად მაცხონეთა სააგიტაციო მოწოდებასთან ერთად გურულის გაფირალებაში მისი ფიცხი ხასიათი და უეცარი აფეთქება გადამწყვეტ როლს თამაშობდა. 1872 წლის ნოემბერში გაზ. დროება იუწყებოდა,.

„ვის არ მოუხსენებია, რომ წინათ გურიაში, სიფიცხისა და დაუდევრობის გამო ძლიერ ბევრი კაცის მკვლელობა ხდებოდა. ვისმე რომ შეეგინებინა გურულისათვის, ის მაშინვე გაბრაზდებოდა... (შემგინებელს) ზედ მივარდებიოდა, ხანჯლითა და დამბაჩით. „ღმერთო მომკალი, მაგისთან ყაძახმა რომ შემაგინოს თავი რად მინდა ცოცხალი. ამისთანა გლახა აბდალამ რომ დამიბრიყვოსო (იტყოდა)... იძრობდა ხანჯალს დამბაჩას, თოფს, ხმალს და აღელვებული მივარდებოდა...

მხოლოდ თუ შებრალება გადაარჩენდა მოპირდაპირეს, მეტს შემთხვევაში კი კლავდა“.

სიფიცხესთან და შემართებასთან, „მყის გულმწყრალობასთან“ ერთად ვაჟკაცობაც შესაბამისი გააჩნია გურულს.

1820 წლის სექტემბერში გურიის უკანასკნელი მთავრის,, მამია მეხუთის აღმზრდელი ბიძის - მაღალგონება ქაიხოსრო IV გურიელის ნათლულმა 16 წლის იოთამ ბოლქვაძემ, „თვალთა გუგანის “შერხევის უსწრაფესად, ასჩეხა შემოქმედის ციხესთან, იმერეთის მმართველი,, კავკასიის მთავარმართებლის, ინფანტერიის გენერალ-მაიორ ერმოლოვის თანამოსაგრე. 1812 წლის ხუთი მხლებელი მის გზაკვალს გაუყენეს ბოლქვაძის თანმხლებმა გურულებმა.

1829 წლის აგვისტოში შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სიმაგრესთან გენერალ-მაიორ გესსეს დაქვემდებარებაში მყოფმა მზვერავთა ჯგუფის წევრმა პუზირევსკის მკვლელი იოთამ ბოლქვაძის შთამომავალმა გიგო ბოლქვაძემ ხმალდახმალ მოიტანა იერიში მარტოდ მარტო ოსმალთა რვა კაცთან სადაზვერვო პოსტზე, მოკლა ოთხი და გააქცია ამდენივე მზვერავი დელიბაში, მთავარმართებელმა პასკევიჩმა ამ გაუგონარი მამაცობისათვის ბოლქვაძე პორუჩიკის რანგში აიყვანა.

იმავე 1829 წელს მაიორ პატკოვსკისა და გენერალ გესსეს მხედრობაში მყოფმა თხემიდან ტერფამდე იარაღში ჩასილაღებულმა 1500 გურულმა მოლაშქრემ შეკვეთილის ლიმანთან შემუსრა ტრაპიზონის შენასკინ კეია ოღლის სალმოსანი ბაშიბუზუკები და სამუდამოდ დააჩლუნგა მათი მრუდე იატაგანები.

საოცარი იყო გურულ ჩაქუროსანთა ხმალთა კვეთება 1841 წლის გურიის ჯანყის დროს, ამავე წლის 9 აგვისტოს გოგორეთთან გამართულ ბრძოლაში კავკასიის ომებში შამილის მაურიდებთან სახელმოხვეჭილ პოლკოვნიკ ბრუსილოვსა და მისი ხიშტოსანი ეგერების წინააღმდეგ. „მამაცი“ პოლკოვნიკი ძლივს გადაურჩა გურულ მოჯანყეთა ტყვეობას.

გურულ მებატონეთა წინააღმდეგ ბრძოლაში „კლასობრივ მოლაშქრეთა“ სისხლშიაც მრავალგზის განბანილი მათი ყამა-სატევრები.

1850 წელს ლანჩხუთში საკუთარმა ყმამ იმსხვერპლა „ბოროტი და ასპიტი ივანე ჟორდანია“.

ასეთივე ბედი ეწია „კაი მამაულ -დედულის პატრონს“ იმავე წელს მრისხანე ერისთავს. საკუთარი ყმა ერთ ღამეს დაეცა ბატონს , სულ ნაჭერ-ნაჭერ აკუწა და იმავე ღამეს ოსმალეთში გადავარდა.

1850 წელს ავჯანყებულმა გლეხებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს აზნაურ ჟღენტს.

ენვერ გოგუაძე

სულთათანა

ამიკო ჰეშკოვის გახსენება

სამი წელი...

უსაშველო ტკივილი, მონატრება, ცრემლები, მუქი ფერები ირგვლივ და ყველგან. შენი გარდაცვალებით დასრულდა ყველაფერი ლამაზი და მშვენიერი. დაგვიტოვე ავადმყოფი დედა, რომელიც იმ იმედით იტანდა რეალურ ცხოვრებას, რომ სამოთხეში შენთან მოხვდებოდა, თუმცა ასე ადრე არა. მას შენ აქ უნდოდი და სურდა შენი დისა და დისშვილის ცხოვრებით დამტკბარიყო, მაგრამ ყველაფერი უფლის ნებაა და უფალმა შენთან მოიყვანა. ალბათ, ერთმანეთის მოფერებაში ხართ, რომელიც ჩვენს ტკივილს გვიმსუბუქებს. უმძიმესია შენი ბებოს ყოფა. უშენობას ელიკოზე ზრუნვით იტანდა საბრალო მოხუცი. სიცოცხლე მხოლოდ იმად უღირს, რომ თქვენთან მოხვდეს სამოთხეში.

ნათელი არ მოგკლებოდეს, ამიკო.

მანანა ლეიდა.

ნასაკირალის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე სკოლის პედაგოგ ნათია მექვაბიშვილს მეუღლის **მირიან ხინთიბიძის** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქალაქის მერიის სამხედრო სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება ყოფილი თანამშრომლის **ელგუჯა ხალვაშის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მადლობა ქალაქის მერიას

მინდა მადლობა გადავუხადო ქალაქ ოზურგეთის მერს ბეგი სიორიძეს და მერიის სოციალურ სამსახურს ჩემი ოჯახის მიმართ გაწეული დახმარებისათვის.

მანანა შაგოიანი,

ქ. ოზურგეთი, ბარათაშვილის ქ. №26 მცხოვრები.

იყიდება

ქალაქ ოზურგეთის აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე კომერციული ფართი. დაინტერესებულ პირები დაგვიკავშირდნენ.

ტელ: 551 15 42 42

კახა ირემაძე საქართველოს ჩემპიონია

ალიონი. ქ. თბილისში სპორტულ კომპლექს „არენაში“ გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს (20 წლამდე) შორის.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ნაკრები გუნდები.

საუკეთესოდ იასპარეზა ამ ჩემპიონატში ოზურგეთის სასპორტო სკოლის წარმომადგენელმა კახა ირემაძემ, რომელიც 55 კგ. წონით კატეგორიაში გამოდიოდა. კახამ ყველა ბრძოლა მოიგო და საქართველოს ჩემპიონი გახდა. ეს პირველი შემთხვევაა ჭიდაობის ამ სახეობაში, როცა ოზურგეთელი მოჭიდავე საქართველოს ჩემპიონი გახდა.

როგორც კახას მწვრთნელმა დავით მაჭარაშვილმა გვითხრა, კახა ირემაძე თავისუფალ მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია და ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა.

რ

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ალიონი. 9 თებერვალს ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის პირველობა ბ/რ ჭიდაობაში. გამოვლინდა

ჩემპიონები და პრიზიორები, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიგელებით.

ჩემპიონები გახდნენ: 39კგ წონით კატეგორიაში კახა ძირკვაძე; 42 კგ გიორგი თოხაძე; 46კგ დათო შავაძე; 50კგ ლევან აბულაძე; 54კგ ნიკა აბულაძე; 58კგ ჯუმბერ ქათამაძე; 63კგ ბაქარ წიკლაური; 69კგ ჯუმბერ ლომინაძე; 76კგ ლუკა ტატურაშვილი; 85კგ ცოტნე ცინცაძე; 100კგ იური არაშიძე.

დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ვ. მაისურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში, რომელიც უახლოეს დღეებში ქ. თბილისში გაიმართება.

მ. გიორგაძის სახელობის მეშვიდე რესპუბლიკურ ტურნირზე

12-14 თებერვალს თერჯოლაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონის მირიან გიორგაძის სახელობის მეშვიდე რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორ ასაკობრივ ჯგუფში. ტურნირში მონაწილეობდა 21 გუნდის 256 სპორტსმენი. წარმატებით იასპარეზეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის სპორტსმენებმა.

1998-2001 წლებში დაბადებულთა შორის ჩემპიონები გახდნენ:

49 კილოგრამ წონით კატეგორიაში — გიორგი თოხაძე, მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები.

53 კგ წონით კატეგორიაში — ნიკა აბულაძე, მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი.

მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს:

59 კგ წონით კატეგორიაში — იური ნიკოლაიშვილმა, მწვრთნელი გ. მაჭარაშვილი;

66 კგ წონით კატეგორიაში — დათო ბაკურაძემ, მწვრთნელები ზ. და ი. ზურაბიანები.

2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის, +66 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ცოტნე ცინცაძე, მწვრთნელები ზ. და ი. ზურაბიანები.

38 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა კახა ძირკვაძემ, მწვრთნელი გ. მაჭარაშვილი.

„არწივების“ გამარჯვება პრემიალური ქულით

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ზვანის სტადიონზე რაგბიში საქართველოს რეგიონული (დასავლეთი) ჩემპიონატის თამაში გაიმართა, რომელსაც გურიის გუბერნატორია გია სალუქვაძე დაესწრო. ოზურგეთის „არწივებმა“ მოიპოვეს გამარჯვება პრემიალური ქულით (5 ქულა) და ქედის „ფირალები“ ანგარიშით: 27:7 დაამარცხეს.

გურიის გუბერნატორმა მიულოცა გამარჯვება ოზურგეთელ სპორტსმენებს და წარმატებები უსურვა მათ. გია სალუქვაძემ აღნიშნა, რომ რაგბი ყველაზე ვაჟკაცური სპორტია და ჭიდაობასა და ფეხბურთთან ერთად , აუცილებელია სპორტის ამ სახეობის განვითარება. მან ადგილზე დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაეცნო რეგიონში ამ კუთხით არსებულ პრობლემებს. უახლოეს მომავალში გუბერნატორი შეხვდება რაგბის სფეროს მუნიციპალურ წარმომადგენლებს. შეხვედრაზე დეტალურად განიხილება პრობლემური საკითხები და მაქსიმალურად ყველაფერი გაკეთდება რაგბის განვითარებისათვის.

მძლეოსნობა

12-14 თებერვალს ქ. თბილისში მძლეოსნობის სასახლემ საქართველოს ზამთრის ჩემპიონატს უმასპინძლა 1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის მძლეოსანთა გუნდი იღებდა მონაწილეობას. მათგან წარმატებას მიაღწიეს **ამირან თავართქილაძემ,** რომელიც ჩემპიონი გახდა 200 მეტრზე რბენაში, მანვე 60 მეტრზე რბენაში მესამე ადგილი დაიკავა. **ელენე გოგიჩოვა** 60 მეტრზე მეორე ადგილზე გავიდა, **ელენე ტოლსტოვამ** სიგრძეზე ხტომაში მესამე ადგილი დაიკავა.

წარმატებები ვუსურვოთ ამირან თავართქილაძეს, რომელიც საკმაოდ პერსპექტიული სპორტსმენია, ასევე გავამხნევოთ ელენე ტოლსტოვა, რომელიც მიუხედავად ტრამვებისა საკმაოდ კარგად შედის სპორტულ ფორმაში.

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა **მარინე კოტრიკაძემ.**

ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალები

2015-2016 წლების ჩემპიონთა ლიგა ორთვიანი შესვენების შემდეგ პირველი მერვედფინალური მატჩებით განახლდა. პარიზსა და ლისაონში გამართულ მატჩებში მასპინძელმა გუნდებმა მინიმალური ანგარიშით იმარჯვეს.

„პარი სენ-ჟერმენმა“ ლონდონის „ჩელსის“ დამსახურებულად სძლია, თუმცა შეხვედრა მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოიგო. პარიზელებმა ინგლისის ჩემპიონს პირველივე წუთებიდან შეუტიეს, თუმცა რეალური საგოლე მომენტი „ჩელსიმ“ შექმნა, როდესაც დიეგო კოსტას ახლო მანძილიდან თავური დარტყმა „პსჟ“-ს გოლკიპერმა სასწაულებრივად მოიგერია. მასპინძლებმა საწადელს 39-ე წუთზე მიაღწიეს: ჯონ ობი მიკელმა საჯარიმოს სიახლოვეს ზლატან იბრაჰიმოვიჩი უხეშად შეაჩერა, რასაც იმავე იბრაჰიმოვიჩის ჯარიმიდან გატანილი გოლი მოყვა. ნიგერიელმა ფეხბურთელმა საკუთარი შეცდომა 6 წუთში გამოასწორა და კუთხურიდან მოწოდებული ბურთი არეულობის შემდეგ პარიზელთა კარში ახლო მანძილიდან გადაგზავნა.

მას შემდეგ, რაც "რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლუჩანო სპალეტი დაინიშნა, გუნდი უკეთ ათამაშდა, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მადრიდის "რეალის" დასამარცხებლად. რომაელებმა ორი უპასუხო გოლი გაუშვეს საკუთარ არენაზე. მატჩის შემდეგ სპალეტიმ და მისმა შეგირდებმა საინტერესო კომენტარები გააკეთეს.

ლუჩანო სპალეტი: "ცდა არ დაგვიკლია, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. ამ ეტაპზე, "რეალი" "რომაზე" ძლიერია, თუმცა ჩვენ სწორი გზით მივდივართ და მჯერა, რომ სამომავლოდ ევროპული ფეხბურთის გრანდებს ტოლ-სწორად ვეპაექრებით.

მირალემ პიანიჩი: "ანგარიში არ ასახავს იმას, რაც მოედანზე ხდებოდა, რადგან ჩვენც გვქონდა მომენტები და მინიმუმ ერთი გოლი უნდა გაგვეტანა. იმედგაცრუებული ვარ, რადგან ასეთ მარცხს არ ვიმსახურებდით. უძლიერესი მეტოქე გვყავდა და ფავორიტად იყო მიჩნეული, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი არაფერი დავუთმეთ. ალესანდრო ფლორენცი: „სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი გვქონდა და ამაზე გულშემატკივრების ტაში ნათლად მეტყველებს. როდესაც "რეალის" კალიბრის გუნდს ეთამაშები, იღბალმაც უნდა გაგიღიმოს, მაგრამ ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა. მსაჯს შეეძლო ჩვენ სასარგებლოდ პენალტის დანიშვნა. დიდი გამოცდილება მივიღეთ, მადრიდში ბოლომდე ვიბრძოლებთ".

დარჩენილ ორ შეხვედრაში პლისაბონის „ბენფიკამ“ შინ პეტერბურგის „ზენიტი დაამარცხა 1:0, ხოლო გერმანიის ვოლფსბურგმა სტუმრად ბელგიაში „დგილობრივი „გენტი“ დაამარცხა 3:2.

7 დღის ამინდის პროგნოზი

22 თებერვალი	23 თებერვალი	24 თებერვალი	25 თებერვალი	26 თებერვალი	27 თებერვალი	28 თებერვალი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
წვიმა, +2+7	მზე, +7+14	მზე, ღრუბელი +7+16	მზე, ღრუბელი +6+12	მზე, ღრუბელი +1+18	წვიმა, +8+17	წვიმა, +6+10